საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბრძანება №01-18/87

ქ. ბათუმი 25 აპრილი, 2023 წ.

„2023 წელს ბსუ-ს სტუდენტური პროექტების დაფინანსების შესახებ“ ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2023 წლის 15 თებერვლის N01-18/48 ბრძანებაში ცვლილებების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე, ,,უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე და 24-ე მუხლების, ბსუ-ს წესდების მე-15 მუხლის, ბსუ-ს იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ,,სამართალმცოდნეობის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტს ნიკა თურმანიძის 2023 წლის 21 მარტის N319197 განცხადებისა და სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის უფროსის ლევან ტარიელაძის 2023 წლის 21 მარტის N319197 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. **,,2023 წელს ბსუ-ს სტუდენტური პროექტების დაფინანსების შესახებ“** ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2023 წლის 15 თებერვლის N01-18/48 **ბრძანებაში შევიდეს ცვლილებები**, კერძოდ:

ა) **პირველი პუნქტის ,,დ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

,,დ) ,,დებატ კლუბი“ - პროექტის ავტორები: ბსუ-ს იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ,,სამართალმცოდნეობის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტები **ნიკა თურმანიძე, დავით კახიძე, ნიკა ფარტენაძე და სანდრო კიკნაძე,** პროექტის ბიუჯეტი: 5000 ლარი **(დანართი N 4)** ;“.

ბ) ბრძანების N4 დანართში **ნაცვლად** ,,პროექტის ავტორი: ბსუ-ს იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ,,სამართალმცოდნეობის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტები ნიკა თურმანიძე (პ/ნ 61001086179)“ **მიეთითოს** ,,პროექტის ავტორები: ბსუ-ს იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ,,სამართალმცოდნეობის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტები ნიკა თურმანიძე (პ/ნ 61001086179); დავით კახიძე, (პ/ნ 6170608149); ნიკა ფარტენაძე, (პ/ნ 61401089556); სანდრო კიკნაძე, (პ/ნ 61801090840).“.

2. ბრძანება გასაცნობად და აღსასრულებლად დაეგზავნოს სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, საქმისწარმოების სამსახურს (კანცელარია), ბსუ-ს იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტსა და პროექტის ავტორებს (უზრუნველყოს დაგზავნა ბსუ-ს პორტალის მეშვეობით სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტმა).

3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30) მისი გამოცემის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი,

ასოცირებული პროფესორი მერაბ დიასამიძე